საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, III ა მ/რ, რაფაელ დვალის ქ. №11ა-ში (ს/კ 01.19.39.010.053), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“

შ.პ.ს. „სტილ ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ოქტომბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, III ა მ/რ, რაფაელ დვალის ქ. №11ა-ში (ს/კ 01.19.39.010.053), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, III ა მ/რ, რაფაელ დვალის ქ. №11ა-ში (ს/კ 01.19.39.010.053), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის აგვისტოში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ალ. პასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებათა გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე, კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები-------3გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით---------- 1გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 3ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 3ფურც

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მანსარდით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, თითოეული 15 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხნარი, რბილპლასტიკური
3. ფენა – 3 – ფიქლებრივი თიხები, ძლიერ გამოფიტული
4. ფენა – 4 – ფიქლებრივი თიხები, გამოფიტული

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ფენების (გარდა ნაყარი გრუნტისა) დახასიათება. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებებს მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 2.3-5.0 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ანკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, III ა მ/რ, რაფაელ დვალის ქ. №11-ა-ში (ს/კ 01.19.39.010.053), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ჭოხონელიძე

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010589

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

N° ღ 0266413

გ. ქოხონელიძე

პირადი ხელმოწერა

[illegible] თბილისის საბურთალოს
რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

[illegible] 29.09.2000 წ.

[illegible]